



საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,
შემუშავებისა და განვითარების
მეთოდოლოგია

სარჩევი

I. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი	4
I.I. საგანმანათლებლო პროგრამის არქიტექტონიკა.....	4
I.II. პროგრამის სახელწოდება.....	4
I.III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია.....	4
I.IV. პროგრამის მოცულობა კრედიტებით.....	5
I.V. სწავლების ენა	5
I.VI. პროგრამის მიზანი.....	5
I.VII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	6
I.VIII. სწავლის შედეგი	6
I.IX. სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები.....	6
I.X. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	7
I.XI. სასწავლო გეგმა.....	7
I.XII. სასწავლო კურსის სილაბუსი	7
II. პროგრამის აგების პრინციპები	8
II.I. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აგება	8
II.II. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აგება	9
II.III. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აგება	9
II.IV. სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის აგება.....	9
III. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი.....	9
IV. პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი.....	10
V. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა.....	10
VI. ერთობლივი პროგრამები	11
VII. პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება	11
VIII. პროგრამის შეფასება, მოდიფიცირება და განვითარება.....	12
IX. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა	13
IX.I. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზანი	13

IX.II. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი	14
IX.III. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია და პროცედურები	14

I. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

I.I. საგანმანათლებლო პროგრამის არქიტექტონიკა

1. უმაღლესი აკადემიური განათლების პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს და მასში მითითებული უნდა იყოს:

- პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად);
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად);
- პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება (სავალდებულო, არჩევითი, თავისუფალი და სხვ.);
- სწავლების ენა/ენები;
- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
- სწავლის შედეგები;
- სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები;
- სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები;
- სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით;
- პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი;
- დასაქმების სფეროები;
- მატერიალური რესურსი;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- დამატებითი ინფორმაცია;

2. საგანმანათლებლო პროგრამის სარეკომენდაციო ფორმას შეიმუშავებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

I.II. პროგრამის სახელწოდება

3. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვრება პროგრამის მიზნების შესაბამისად, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს სწავლის სფეროსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან. სწავლის სფეროს დასახელება ასევე, არ უკავშირდება უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის დასახელებასა და საქმიანობას.

I.III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

4. უმაღლეს განათლებაში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება მოიცავს უმაღლესი განათლების საფეხურის შესაბამის ზოგად აღმნიშვნელს, კვალიფიკაციისა და დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს დასახელებას.

I.IV. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

5. უნივერსიტეტი ახორციელებს სამივე საფეხურის აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას.
6. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს (ECTS).
7. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს (ECTS).
8. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს (ECTS).
9. სამედიცინო განათლების პროგრამა არის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. დიპლომირებული მედიკოსის 360-კრედიტიანი (ECTS) საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.
10. უნივერსიტეტში ერთი სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს (ECTS).
11. სწავლის ყოველი საფეხურის გავლის შემდეგ გაიცემა სათანადო დიპლომი სტანდარტული დანართით.
12. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.
13. პირს, რომელმაც დაასრულა მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა, ეძლევა ასოცირებული ხარისხის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი.

I.V. სწავლების ენა

14. პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ქართულ ან ინგლისურ ენაზე.
15. პროგრამა შეიძლება ასევე განხორციელდეს ქართულ ენაზე ინგლისურენოვანი კომპონენტებით - ინგლისურენოვანი ლიტერატურა, სასწავლო კურსის/კურსების სწავლება ინგლისურ ენაზე.
16. პროგრამაში უნდა მიეთითოს რომელ ენაზე/ენებზე ხორციელდება პროგრამა.
17. საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ ინგლისურ ენაზე განხორციელება დასაშვებია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით, ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
18. ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა/სილაბუსები მზადდება როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე.

I.VI. პროგრამის მიზანი

19. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიოდ და ზოგადად.

I.VII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

20. დაშვების წინაპირობის განსაზღვრის მიზანია პირის წინასწარი კომპეტენციების იდენტიფიცირება, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

21. სკოლის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, არსებობდეს ამა თუ იმ პროგრამაზე სტუდენტთა მიღების დამატებითი წინაპირობები (მაგალითად, ინგლისური ან რომელიმე სხვა ენის ცოდნა გარკვეულ დონეზე, სამაგისტრო პროგრამისათვის, თუ რომელ სფეროში/დარგში უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი და სხვ.).

22. ინგლისურენოვანი პროგრამის შემთხვევაში პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე.

23. დამატებითი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტების შერჩევის პროცედურა უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და სამართლიანი, რაც განისაზღვრება საუნივერსიტეტო/სასკოლო რეგულაციებით.

24. საერთო სამაგისტრო გამოცდის გარდა, სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის წერიითი/ზეპირი/კომბინირებული გასაუბრება/გამოცდა სპეციალობაში, რომლის საგამოცდო საკითხები შესაბამის ლიტერატურასთან ერთად უნდა იქნეს წარმოდგენილი წინასწარ. ზოგიერთ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შესაძლებელია აგრეთვე იყოს გამოცდა ინგლისურ ენაში. ამ შემთხვევაში მითითებულ უნდა იქნეს ენის ცოდნის დონე.

I.VIII. სწავლის შედეგი

25. სწავლის შედეგი ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნათლად და უნდა ასახავდეს ინფორმაციას პირის მიერ მისაღწევი „ცოდნისა და გაცნობიერების“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარის“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) შესახებ.

26. სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

I.IX. სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები

27. პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლება-სწავლის მეთოდები (ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ), რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

28. სწავლება-სწავლის მეთოდი მოიცავს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.).

29. მეთოდების და აქტივობების მითითების დროს გაითვალისწინება ამა თუ იმ მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკა.

I.X. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

30. სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა უნდა გამოიხატებოდეს დადებითი შეფასებით.
31. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება (გამონაკლისია კვლევითი კომპონენტი). სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
32. სასწავლო კურსის შეფასება უნდა განხორციელდეს 100-ქულიანი სისტემით.
33. დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის შეფასება 40 ქულაზე მეტით.
34. სასურველია გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო შეფასების კომპონენტები და მეთოდები ამა თუ იმ მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

I.XI. სასწავლო გეგმა

35. პროგრამის სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ყველა სასწავლო და კვლევით კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტების მინიჭება. გარდა ამისა, სასწავლო გეგმაში მოცემული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია: სასწავლო კურსის სახელწოდება, კრედიტების მოცულობა, სტუდენტის საათობრივი დატვირთვა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების ჩათვლით), სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სწავლების სემესტრი და სხვ.
36. სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში შეიძლება გათვალისწინებული იყოს განსხვავებული ფორმის სასწავლო გეგმა.
37. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უნდა უზრუნველყოფდეს მისი შემადგენელი ყველა კომპონენტის ლოგიკურ კავშირს.
38. სასწავლო გეგმაში მითითებული არჩევითი საგნების კრედიტების რაოდენობის ჯამი უნდა აღემატებოდეს არჩევითი საგნებისათვის პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობას.
39. სასწავლო გეგმას თან უნდა ერთვოდეს სწავლის შედეგების რუკა.

I.XII. სასწავლო კურსის სილაბუსი

40. სასწავლო კურსის სილაბუსში მიეთითება: სასწავლო კურსის სახელწოდება, ლექტორი/ლექტორები, სასწავლო კურსის კოდი, სასწავლო კურსის მიზნები, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები), დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, სავალდებულო ლიტერატურა, დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა, სასწავლო კურსის გავლასთან დაკავშირებული დამატებითი პირობები.
41. სასწავლო კურსის სილაბუსის სარეკომენდაციო ფორმას შეიმუშავებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
42. სასწავლო კურსისთვის კოდის მინიჭების პრინციპი განისაზღვრება სკოლის დეკანის ბრძანებით.

II. პროგრამის აგების პრინციპები

II.I. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აგება

43. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის - ბაკალავრიატის, საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია აგებული იყოს შემდეგი პრინციპით:

- ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები;
- ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით), დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები და თავისუფალი კომპონენტები;
- ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები.

44. კანონმდებლობის შესაბამისად რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამებზე მოქმედებს კრედიტების განაწილების სპეციალური წესი, რაც განისაზღვრება დარგობრივი მახასიათებლით.

45. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია მხოლოდ იმ დამატებითი პროგრამის/პროგრამების კომბინირება, რომლის შესაბამისი სწავლის სფეროს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა უნივერსიტეტში უკვე ხორციელდება ავტორიზებულ ან აკრედიტებულ რეჟიმში.

46. თავისუფალი კომპონენტი მოიცავს ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ ან/და უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებულ სასწავლო კურსს/საგანს/მოდულს, რომლის/რომელთა თავისუფლად არჩევაც შეუძლია სტუდენტს, მისთვის საინტერესო სფეროებში (საკითხებზე) თვალსაწიერის გაფართოების მიზნით.

47. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები წარმოდგენილი უნდა იყოს სავალდებულო და არჩევითი სახით. დამატებითი პროგრამა და თავისუფალი კომპონენტები ასევე, უნდა მოიცავდეს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით სასწავლო კურსებს/საგნებს/მოდულებს.

48. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში.

საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით.

II.II. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აგება

49. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის - მაგისტრატურის, საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტისგან, ის მოიცავს თავისუფალ კრედიტსაც.

50. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა არ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ სწავლებისაგან. ის აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის მიერ ისეთი კვლევების დამოუკიდებლად ჩატარებას ან ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომელთა საფუძველზედაც ის შეძლებს სამაგისტრო ნაშრომის ან/და პროექტის წარდგენას, მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის თავისებურებების გათვალისწინებით.

51. უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში. საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს – არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს.

II.III. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აგება

52. უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის - დოქტორანტურის, საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისგან. სასწავლო კომპონენტი არ შეიძლება იყოს 60 კრედიტზე მეტი.

II.IV. სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის აგება

53. სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის აგების პრინციპებსა და სპეციფიკას ითვალისწინებს შესაბამისი დარგობრივი მახასიათებელი.

III. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

54. პროგრამა ხორციელდება ადამიანური რესურსით, რომელშიც შედის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი და მოწვეული პერსონალი.

55. პროგრამას უნდა დაერთოს პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები (CV) და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

56. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებით ან პროფესიული გამოცდილებით.

57. ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შემთხვევაში დამატებით დგინდება ინგლისური ენის ცოდნა - ინგლისურენოვანი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტით, შესაბამისი სერტიფიკატით, უცხოეთის უნივერსიტეტში სამუშაო გამოცდილებით და სხვა. ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის არარსებობის შემთხვევაში პირი ვალდებულია ჩაატაროს ლექცია ინგლისურ ენაზე, რომელსაც ესწრება კომისია სკოლის დეკანის მიერ განსაზღვრული შემადგენლობით. კომისიაში შედიან როგორც დარგის წარმომადგენლები, ისე ინგლისური ენის სპეციალისტები. კომისია ადგენს ოქმს. კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი განისაზღვრება სკოლის დეკანის ბრძანებით.

IV. პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი

58. პროგრამას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი.

59. პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულმა პირმა. გადაწყვეტილება პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ უნდა მიიღოს სკოლის საბჭომ, წარდგინების საფუძველზე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის აუცილებლობა. ასეთ შემთხვევაში მოწვეულ პირთან ერთად პროგრამას ასევე უნდა უხელმძღვანელოს უნივერსიტეტის პროფესორმა ან ასოცირებულმა პროფესორმაც, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სკოლის საბჭო სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

60. პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი პასუხისმგებელია სილაბუსების ხარისხსა და ზოგადად ხარისხის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე.

61. პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი წარმოადგენს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალუა მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.

62. პროგრამის ხელმძღვანელს/კოორდინატორს ევალება, მიაწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია პროგრამის და მისი განხორციელების თავისებურებების შესახებ, გაუწიოს მათ კონსულტაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, მოაგვაროს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები და სხვ.

V. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

63. პროგრამას უნდა დაერთოს ინფორმაცია შესაბამისი პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფაზე - სკოლის ბიუჯეტი. აღნიშნულ ინფორმაციას ამზადებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

VI. ერთობლივი პროგრამები

64. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს საქართველოს ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით.

65. ერთობლივი პროგრამა წარმოადგენს ერთ ან მეტ პარტნიორი უნივერსიტეტის (თუ ამ უკანასკნელს აქვს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების უფლებამოსილება) თანამშრომლობის საფუძველზე განხორციელებულ საბაკალავრო/დიპლომირებული მედიკოსის/სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამას.

66. ერთობლივი პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს პარტნიორი უნივერსიტეტები ხარისხს ანიჭებენ ერთობლივად.

67. პარტნიორი უნივერსიტეტები აყალიბებენ და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან ათანხმებენ ერთობლივი პროგრამის განხორციელების წესს.

68. ერთობლივი პროგრამის განხორციელებისას რეკომენდებულია:

- სტუდენტმა ისწავლოს და/ან განახორციელოს კვლევა პარტნიორ უნივერსიტეტში;
- ხელი შეეწყოს უნივერსიტეტის აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს ასწავლოს და განახორციელოს კვლევა პარტნიორ უნივერსიტეტში;
- ხელი შეეწყოს პარტნიორი უნივერსიტეტის აკადემიურ და/ან სამეცნიერო პერსონალს ასწავლოს და განახორციელოს კვლევა უნივერსიტეტში;
- პარტნიორი უნივერსიტეტის შესაბამისი პერსონალი იყოს საბაკალავრო/დიპლომირებული მედიკოსის/საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი.

69. საერთაშორისო ერთობლივ პროგრამას წარმოადგენს ერთობლივი პროგრამა, რომლის ერთი პარტნიორი მაინც არის უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

VII. პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება

70. პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესი უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და ურთიერთთანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა დაინტერესებულმა მხარემ.

71. პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის მიზნით, პროგრამის აკრედიტაციის ვადით იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან:

- პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
- სტუდენტი/სტუდენტები;

- კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულები;
- დამსაქმებელი/დამსაქმებლები/პოტენციური დამსაქმებელი (პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სურვილის შემთხვევაში);
- პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში);
- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში);
- უცხოელი სპეციალისტი (პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სურვილის შემთხვევაში);
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;
- სხვა წევრი/წევრები.

72. კომისიას აყალიბებს სკოლის (ფაკულტეტის) დეკანი ბრძანებით.

73. კომისიის წევრად შეიძლება შერჩეულ იქნას სტუდენტი/სტუდენტები, რომლის/რომელთა GPA აღემატება 3.0-ს და რომელსაც დაგროვილი აქვს არანაკლებ 60 კრედიტისა.

74. კომისიას ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელი. თუ პროგრამას ჰყავს რამდენიმე ხელმძღვანელი, სკოლის დეკანის მიერ კომისიის შექმნის ბრძანებაში განისაზღვრება რომელი მათგანი უხელმძღვანელებს კომისიას.

75. პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნას: შრომის ბაზრის მოთხოვნები, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციების შედეგები, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება.

76. პროგრამის შემუშავების პროცესს კოორდინაციას უწევს კომისიის ხელმძღვანელი. იგი უზრუნველყოფს კომისიის წევრების არგუმენტირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებას პროგრამის აღწერილობასა და სილაბუსებში ისე, რომ შეიქმნას ხარისხიანი, შრომის ბაზრის ინტერესებზე ორიენტირებული, თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამა.

77. კომისიის წევრები იკრიბებიან საჭიროებისამებრ.

78. კომისიის სხდომის ოქმები ინახება სკოლის აპარატში.

79. საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად გადაეცემა სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და სკოლის საბჭოს.

80. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა სკოლის საბჭოს და სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გადაეცემა მხოლოდ სკოლის სადისერტაციო საბჭოში არსებითი განხილვის შემდეგ.

81. საგანმანათლებლო პროგრამას საბოლოოდ ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

82. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

VIII. პროგრამის შეფასება, მოდიფიცირება და განვითარება

83. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად, როგორც წესი აკადემიური სასწავლო წლის ბოლოს და სამ წელიწადში ერთხელ.

84. საგანმანათლებლო პროგრამის და მისი განხორციელების ყოველწლიურ შეფასებას ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დაინტერესებული მხარეების (სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი) ჩართულობითა და მათი შეფასებების გათვალისწინებით, და შესაბამის დასკვნასა და რეკომენდაციებს წარუდგენს პროგრამის განვითარების კომისიას და სკოლის საბჭოს. პროგრამის განვითარების კომისია ვალდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და სკოლის საბჭოს წარუდგინოს ანგარიში რეკომენდაციების განხორციელებასთან დაკავშირებით, მათი წარდგენიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

85. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას ახორციელებს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად.

86. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას 3 წელიწადში ერთხელ ახორციელებს უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ შექმნილი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტები, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, მარკეტინგის და კომუნიკაციის სამსახურის ხელმძღვანელი, სტრატეგიული განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი, პროგრამის აკადემიური მენეჯერი და სხვა დაინტერესებული მხარეები.

87. პრეზიდენტის მიერ შექმნილი ჯგუფი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას ახორციელებს უნივერსიტეტში პროგრამასთან დაკავშირებით არსებული რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების შეგროვების, მონაცემთა ანალიზის, ასევე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების საშუალებით.

88. შეფასების ჯგუფი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების დროს აუცილებლად ხვდება შემდეგ ფოკუს ჯგუფებს: პროგრამის სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი. სხვა ფოკუს ჯგუფებს ინტერესის შესაბამისად განსაზღვრავს ჯგუფი. ფოკუს ჯგუფში შედის არანაკლებ 5 და არაუმეტეს 10 პირი.

89. შეფასების ჯგუფი წერს ანგარიშს, რომელიც განსახილველად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ანგარიშთან დაკავშირებით დასკვნას და რეკომენდაციებს წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებას და არაუგვიანეს ორი თვისა წარუდგენს მას ანგარიშს რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.

IX. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

IX.I. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზანი

90. უნივერსიტეტის ქმნის თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პირობებს, რომლის ფარგლებშიც ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება. ამ მიზნით უნივერსიტეტი სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთათვის განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას და პროცედურას.

92. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შედგენილ სასწავლო გეგმას, რომელსაც სკოლის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის საბჭო.

IX.II. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი

92. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი არის პირი, რომელსაც აქვს სწავლაში ჩამორჩენა ან გამოირჩევა განსაკუთრებული ნიჭით, ან ჩვეულ პირობებში უჭირს სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია, რომლისთვისაც საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საჭიროა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და განხორციელება. ამ კატეგორიაში განიხილება ასევე პირი, რომელიც საჭიროებს გრძელვადიან მკურნალობას, ჰოსპიტალიზაციას და სხვა.

93. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტად მისი სურვილის შესაბამისად ასევე განიხილება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელსაც

„სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მიეკუთვნება პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში.

94. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტად განიხილება უნივერსიტეტში მობილობით გადმოსული სტუდენტი და სტატუს აღდგენილი სტუდენტიც.

IX.III. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია და პროცედურები

95. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე.

96. სტუდენტი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის თხოვნით განცხადებით მიმართავს შესაბამისი სკოლის დეკანს. განცხადებაში სტუდენტი აფიქსირებს მოთხოვნის მოტივს და დროში საკუთარი დატვირთვის შესაძლებლობას. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გარემოებების აღწერა და შესაბამისი დოკუმენტაცია.

97. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებას უწევს სასწავლო კურსის/კურსების განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართვას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში.

98. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება საკანონმდებლო მოთხოვნის გათვალისწინებით, რომლის თანახმად სავალდებულო

დატვირთვა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში უნდა მოიცავდეს 60 კრედიტს. დასაშვებია სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს 75 კრედიტის დაგროვება.

99. სასწავლო გეგმა თანხმდება სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან და შემდეგ დასამტკიცებლად გადაეცემა შესაბამისი სკოლის დეკანს. სკოლის დეკანი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან ერთად შესაბამისი სტუდენტისთვის ამტკიცებს სასწავლო კალენდარს და უნიშნავს ტუტორს. ტუტორი სტუდენტს უწევს კონსულტაციას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების დროს წამოჭრილს საკითხებთან დაკავშირებით.

100. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, როგორც წესი უნდა შემუშავდეს სემესტრის დაწყებამდე.